MES 1 21 0001248765

19/11/2021

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 5 ნოემბერს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვას.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/81926829770?pwd=STFmMUZkVjdPcjFJQmNSTE5yeXo5Zz09
Meeting ID: 819 2682 9770
Passcode: 295009

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

**ნანა ყუფუნია** - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
**შორენა ჯაფარიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მარიამ ჩაგელიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
**ნინო კაკულია** - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
**ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი** - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე /საბჭოს წევრი;
**დეა აბულაძე** - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი /საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ელისო ბარბაქაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**მერი ციცქიშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს ინტერბიზნესის აკადემია:**
ნაზი წიბლიაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

**შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი:**
ანზორ დიასამიძე - გენერალური დირექტორი,
რუსუდან დიასამიძე - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
გურამ ქათამაძე - პროფესიული განათლების დეპარტამენტის ყფროსი,
გიორგი დიასამიძე - იურიდიული განყოფილების უფროსი,
ირაკლი წივწივაძე - საფინანსო განყოფილების უფროსი
ომარ დიასამიძე - პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:**

თამარ რემიშვილი,
მაია ომიაძე,
ავთანდილ გეგენავა.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:02 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი და საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს ქრისტინა რზგოევას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.
2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

**1. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.**

საკითხი საბჭოზე წარადგინა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა შპს ინტერბიზნესის აკადემიის წერილს, რომელიც ცენტრს მიმართავდა თხოვნით, ეშუამდგომლა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე, რომ გაუქმებულიყო ორგანიზების ღონისძიების მე-4 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელ პროგრამაზეც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას საბჭოს მიერ განსაზღვრული ჰქონდა 12, თუმცა დაწესებულებას არ ჰყავდა პროფესიული სტუდენტები. ამასთან ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სხდომას ესწრებოდა დაწესებულების წარმომადგენელი ნაზი წიბლიაშვილი, შესაბამისად, დამაზუსტებელი კითხვის შემთხვევაში, საბჭოს წევრების კითხვებს დაწესებულების წარმომადგენელი უპასუხებდა.

ნანი დალაქიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ნაზი წიბლიაშვილს, კერძოდ, მოცემულ პროგრამაზე დაწესებულებას ადრე ჰყავდა თუ არა სტუდენტები, რომელთაც უკვე დაასრულეს სწავლა და მიენიჭათ კვალიფიკაცია. საბჭოს წინაშე საკითხის დაყენების დროისთვის, როგორც ცნობილი იყო, პროგრამაზე სტუდენტები აღარ ირიცხებოდნენ. ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა, რა იყო ამის მიზეზი. ამასთან, ნანი დალაქიშვილმა განუმარტა საბჭოს წევრებს, რომ დაწესებულების ზეპირსიტყვიერი თხოვნით, სურდა ის რესურსი, რაც აღნიშნულ პროგრამაზე უნდა დახარჯულიყო, გამოეყენებინათ სხვა პროგრამების განხორციელებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნაზი წიბლიაშვილმა აღნიშნა, რომ მოთხოვნა მოცემულ პროგრამასთან მიმართებით საერთოდ არ ყოფილა, შესაბამისად, პროგრამაც არასდროს არ განუხორციელებიათ, ამიტომ დაინტერესების არქონის გამო დაწესებულებას სურს, გააუქმოს აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიამ, დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ ძალიან ცუდი იყო ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ არ იცოდა, ის მიზეზი, რის გამოც მოცემულ პროგრამაზე არ იყო დაინტერესება. ამასთან, ნანა ყუფუნიამ შეახსენა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ პროგრამის ავტორიზაციის საკითხის დაყენების შემთხვევაში, ყველა დაწესებულების მიმართ ისმის კითხვა: არის თუ არა შესწავლილი მოთხოვნილ პროგრამაზე დაინტერესების დონე საზოგადოებაში. პროგრამის განხორციელებისთვის იხარჯებოდა გარკვეული რესურსი, რაც გარკვეულ მოლოდინებს უქმნიდა როგორც საბჭოს, ისევე ცენტრს, შესაბამისად, ნანა ყუფუნიას აზრით, არ იყო სწორი, რომ დაწესებულებამ არ იცოდა დაინტერესების არქონის მიზეზი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რეკომენდაციით, რომ დაწესებულებების მიერ პროგრამის დამატების მოთხოვნისას უფრო კარგად შეისწავლონ დასაბუთების ნაწილი, რათა თავიდან აირიდონ მსგავსი შემთხვევები.

ნაზი წიბლიაშვილმა განმარტა, რომ მოცემული პროგრამა დამატებულ იქნა საგნობრივი პროგრამიდან მოდულურ პროგრამაში გადასვლის პერიოდში, როდესაც საგნობრივი პროგრამის ფარგლებში საოფისე საქმის ორი პროგრამა ხორციელდებოდა წარმატებით, თუმცა შემდეგ მოცემული პროგრამების ცალკე გამოყოფით ეს მდგომარეობა შეიცვალა და დაინტერესება საზოგადოებაში აღარ იგრძნობოდა. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმ პერიოდისთვის კვლევა არ ჩატარებულა და უბრალოდ შესთავაზეს საზოგადოებას მოცემული პროგრამა, რაზეც ნაწილმა გამოთქვა უარი, რადგან გრძელვადიანი პროგრამა არ მოეწონათ. ამის გამო დაწესებულება ფიქრობდა, რომ აიღებდნენ კონკრეტულ მოდულს, რომელსაც საოფისე საქმიანობაში გადაიტანდნენ, თუმცა წინაპირობების სიმრავლის გამო, ისევ არ გამოთქვეს პროგრამასთან მიმართებით ინტერესი. ნაზი წიბლიაშვილის თქმით, მართალია, შეიცვალა წინაპირობები, თუმცა ყველა პრაქტიკულ კომპონენტს მაინც დარჩა მოდულის წინაპირობა, შესაბამისად კიდევ ერთხელ მოსინჯა დაწესებულებამ პროგრამის განხორციელება, თუმცა ძალიან მცირე დაინტერესება გამოიწვია და სულ ხუთმა სტუდენტმა გამოთქვა სურვილი, თუმცა მათაც უფრო მეტად უფასო პროგრამაზე სურდათ სწავლა, ვიდრე ფასიანზე სწავლის გაგრძელება. ზემოჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე, დაწესებულებამ გადაწყვიტა პროგრამის გაუქმება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მართალია, პანდემიიდან გამომდინარე, დაწესებულების პრობლემა უფრო ნათელია, თუმცა გარკვეული კვლევის ჩატარება მაინც იყო საჭირო, თუ რატომ არ გამოთქვეს მიმდინარე პროგრამაზე დაინტერესება, მით უმეტეს 2018 წელს, იმ პერიოდში, როდესაც პანდემია არ იყო.

ნაზი წიბლიაშვილის თქმით, მართალია 2018 წლის მდგომარეობით, რთული სიტუაცია ნამდვილად არ იყო, თუმცა პროგრამის მიმართ დაინტერესება მაინც არ იყო გამოთქმული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვა ან რაიმეს დამატების სურვილი, თუმცა ამის სურვილი საბჭოს წევრებს არ გამოუთქვამთ, რის შემდეგაც ნანა ყუფუნიამ კითხვით მიმართა ნანი დალაქიშვილს, ჰქონდა თუ არა რაიმეს დამატების სურვილი გადაწყვეტილების მიღებამდე, რაზეც ნანი დალაქიშვილმა მზაობა გამოთქვა.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმებოდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამახვილებულ აქცენტებს, კერძოდ დასაბუთებულობის ნაწილში და ისიც ადასტურებდა, რომ აუცილებელი იყო ექსპერტთა გუნდსაც და სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებსაც კარგად გამოეკვლიათ საკითხი. ამასთან განმარტა, რომ 2018 წლის მდგომარეობით, როდესაც პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა დაწესებულებას, არ არსებობდა ისეთი ინდიკატორები და სავალდებულო პირობები, რომლებიც მოითხოვდა კვლევის ჩატარების აუცილებლობას, შემდეგ კი შეიცვალა აღნიშნული წესი და ახლა უკვე სავალდებულო და

ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის ჩატარება როგორც გარკვეული რეგიონის, ისე მთელი ქყვეყნის მასშტაბით. ამიტომ ნანი დალაქიშვილი იმედოვნებდა, რომ შემდეგში პროგრამის დამატების მსურველ დაწესებულებებს ექნებოდათ ჩატარებული შესაბამისი კვლევა, რაც დასაბუთებულობის ნაწილს უფრო ნათელს გახდიდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრს, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ჩაეტარებინათ კვლევა იმის შესახებ, თუ რა მიზეზით/მიზეზებით არის განპირობებული პროგრამების გაუქმება და კონკრეტულად რაში იყო პრობლემა, რადგან ძალიან დიდი რესურსი იხარჯება ჯერ პროგრამის განხორციელებისთვის, ხოლო შემდეგ მალევე მისი შეწყვეტისას. შესაბამიოსად, უკეთესი იქნებოდა, რესურსი იმ პროგრამაზე დახარჯულიყო, რომელზეც უფრო მეტი მოთხოვნა იქნებოდა.

პროფესიული განათლების ექსპერტმა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის დამატებისა და პროგრამის განხორციელების შეწყვეტის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დასაბუთებას. შესაბამისად, საჭირო იყო, გაკეთებულიყო კვლევა, თუ რა გახდა პროგრამის განხორციელების შეწყვეტის საფუძველი, ოღონდ კარგი იქნებოდა, თუ აღნიშნული მოხდებოდა არა ზეპირსიტყვიერად, არამედ წერილობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვა ან რაიმეს დამატების სურვილი, რაზეც საბჭოს წევრებს სურვილი არ გამოუთქვამთ, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე:** 9
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება**:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გაუქმდეს „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

**2. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის

მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს: თამარ რემიშვილს, მაია ომიაძესა და ავთანდილ გეგენავას სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს თამარ რემიშვილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, გააზიარა ონლაინ პლატფორმის მეშვეობით პრეზენტაცია, ასევე აღნიშნა, რომ დასკვნა იყო 200 გვერდზე დიდი და პრეზენტაციაც საკმაო მოცულობის იყო და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

თამარ რემიშვილმა განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა სექტემბერში, დაწესებულება პროგრამის განხორციელებას აპირებდა ბათუმში, შალვა ინასარიძის #29-ში, ამასთან, დაწესებულებას თითოეულ პროგრამაზე მოთხოვნილი ჰქონდა 200-200 სტუდენტი, ხოლო პროგრამის განხორციელების ფორმა იყო მოდულური.

პრეზენტაციაში განხილული იყო ასევე დაწესებულების მიერ საკუთარი თვითშეფასება, რომლითაც დაწესებულება 1-ელ მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობას ადასტურებდა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ მოითხოვეს დაწესებულებიდან დამატებითი დოკუმენტები:
1) დაწესებულების 2 თანამშრომლის პირადი საქმე
2) დაწესებულების მიერ ვაკანსიის გამოცხადება და კონკურსის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
3) დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის, დარგის შესაბამისი გამოცდილების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სიმულატორების, ინსტრუქტორებისა და შემფასებლების სერტიფიკატების ასლები (შერჩევითი 2 მასწავლებელი)
4) ტრენაჟერებზე მწარმოებლის მიერ გაცემული საბუთები, რომელიც გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დროს.
5) გემის "კაპიტან ო. ჩხიკვაძის" ვადიანი საკვალიფიკაციო საზოგადოების მიერ გაცემული საბუთები გემის უსაფრთხო ექსპლოატაციის შესახებ, გემზე არსებული ელექტრო და რადიო სანავიგაციო, სატაკელაჟო, საღუზე, გემსაბმელი, სამანქანო განყოფილების სისტემა-დანადგარების ჩამონათვალი; გემის კოლექტიური უსაფრთხოების სამაშველო საშუალებების ჩამონათვალი; გემის ინდივიდუალური სამაშველო საშუალებების რაოდენობა და ჩამონათვალი (ეკიპაჟი, სტუდენტები), რომელიც იძლევა გემზე შესაბამისი რაოდენობის ადამიანების უსაფრთხო ყოფნის შესაძლებლობას.
6) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის (გაუმჯობესების) გეგმა
7) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თამარ რემიშვილმა ასევე განიხილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული შეფასებები სტანდარტებთან მიმართებით, კერძოდ, მისი განმარტებით, ექსპერტებმა 1-ელ სტანდარტთან პროგრამა მეტწილი შესაბამისობით შეაფასეს, მე-3 სტანდარტთან სრულად შესაბამისად ჩათვალეს; ხოლო მე-4 და მე-5 სტანდარტებთან მეტწილად შესაბამისად მიიჩნიეს.
ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამები - საგემბანე განყოფილების ექსპლოატაცია და გემის სამანქანე განყოფილების ექსპლოატაცია - სტანდარტთან მიმართებით ჩათვალეს, როგორც მეტწილად შესაბამისი. დამატებით, ექსპერტმა ისაუბრა მოცემული პროგრამების მოცულობაზეც, კერძოდ საგემბანე განყოფილების ექსპლოატაცია იყო მესამე დონის და

მოიცავდა 95-110 კრედიტს, ხოლო გემის სამანქანე განყოფილების ექსპლოატაცია - ასევე მესამე დონე და მოიცავდა 91-106 კრედიტს.

თამარ რემიშვილმა ასევე აღნიშნა წინა დასკვნის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ და განმარტა, რომ ის რეკომენდაციები, რომლებიც იყო გაცემული, დაწესებულებამ ნაწილობრივ შესასრულა, კერძოდ, აღნიშნული რეკომენდაციები უკავშირდებოდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში პროფესიული პროგრამის დასახელების დაკონკრეტებას, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას, რომელსაც პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად მიიღებს. ასევე საკითხს იმის შესახებ, რომ გაცემული რეკომენდაციით, პრაქტიკის ობიექტზე უნდა განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა, შემუშავებულ იქნას პრაქტიკის დღიურის ფორმა, სადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები შეძლებენ, ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს შინაარსი აღწერონ, ხოლო პრაქტიკის ხელმძღვანელი/ ინსტრუქტორი დაადასტურებს ჩანაწერების ნამდვილობას და შეაფასებს პროფესიული სტუდენტების მიერ ჩატარებულ სამუშაოს, განმავითარებელი შეფასების პრინციპების მიხედვით.

ექსპერტმა პრეზენტაციის სახით ასევე წარადგინა წინა დასკვნის ფარგლებში მიმდინარე რეკომენდაციები და საკითხები, რომელზე დაყრდნობითაც ახსენა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა. დაწესებულებას რამდენიმე გეგმა ჰქონდა წარდგენილი, რომელთაგან ერთი მაისში იყო შემუშავებული. მოცემული გეგმა კი დაწესებულების იდეის მიხედვით, უნდა შესრულებულიყო 6 თვის ვადაში. ექსპერტმა ასევე განმარტა, თუ რასთან დაკავშირებით იყო გაცემული რეკომენდაციები.
თამარ რეიშვილის თქმით, რეკომენდაცია გაცემული იყო სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით; დაწესებულების კვლევებთან მიმართებით, რომ იგი ყოფილიყო დარეგულირებული პროფესიული სტუდენტების მომსახურების სფეროში გამოყენებული; ანგარიშებთან მიმართებით, რათა ზუსტად ჩანდეს პროფესიული სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშრი და შესაბამისი რეაგირება პროფესიული განათლების მიმართულებით; კომუნიკაცია მომხდარიყო პერსონალთან და სტუდენტებთან მიმართებით, რათა აერჩიათ მათთვის მოსახერხებელი კომუნიკაციის საშუალებები; ინგლისურენოვანი ვებგვერდი, რომელიც უნდა ჰქონდეს დაწესებულებას, მასზე უნდა განთავსდეს რელევანტური ინფორმაცია.

შორენა ჯაფარიძემ თამარ რემიშვილს კითხვით მიმართა, თუ რა სახით იყო მოცემული რეკომენდაციები, კერძოდ, ისინი იყო შესაბამისობის თუ განმავითარებელი ხასიათის, რაზეც თამარ რემიშვილმა უპასუხა, რომ იგი იყო განმავითარებელი ხასიათის, ხოლო ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციები - შესაბამისობის. ამასთან, ნანი დალაქიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ დაწესებულებამ მეორედ შემოიტანა ცენტრში ავტორიზაციის შესახებ განაცხადი, რადგან წინაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით შეიტანა განცხადება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ითხოვდა, რომლის განხორციელების უფლებაც მას იმ ეტაპზე არ მიენიჭა. ამ ეტაპზე უკვე განიხილება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის განაცხადი.

თამარ რემიშვილმა ასევე ისაუბრა იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც გაიცა და არ იყო შესრულებული, კერძოდ: პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებებში უნდა დაკონკრეტებულიყო პროფესიული პროგრამის დასახელება, პროგრამების მიხედვით პროფესიულ სტუდენთა რაოდენობა, რომელსაც ერთდროულად მიიღებდა პრაქტიკის ობიექტი. ხოლო, რაც შეეხება მიმდინარე რეკომენდაციებს, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მარეგულირებელ დებულებებში უხვად იყო ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ეხელმძღვანელა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით გაწერილ ტერმინთა განმარტებით და შესაბამისობაში მოეყვანათ მათ

მიერ შემუშავებული რეგულაციები, ამასთან, სასურველი იქნებოდა, არადისკრიმინაციულობის პრინციპების გათვალისწინებით, დაწესებულებას მარეგულირებელ დოკუმენტში ყურადღება მიექცია ისეთი ჩანაწერებისთვის, როგორიცაა: პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი, ეროვნულობა, პარტიულობა და ა.შ. ასევე რეკომენდაცია იყო, აღნიშნული საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე განეთავსებინა დაწესებულებას.

ექსპერტმა, განმარტა, რომ რეკომენდაციები გასცეს სტანდარტების მიხედვით, კერძოდ:
1.1 სასურველი იყო ხედვაში განსაზღვრულიყო დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც აპირებდა დაწესებულება შემუშავებული ხედვის რეალიზაციას.
1.2 რეკომენდებული იყო, სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონოდა თითოეული განსახორციელებელი აქტივობისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.
ასევე რეკომენდირებული იყო, რომ განახლებულ ვებგვერდზე მომხდარიყო სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების განთავსება, რომელიც შესრულებული იქნებოდა დაწესებულებს მიერ დადგენილი ჩარჩოს მიხედვით. ინფორმაციის საჯაროდ განთავსება ყოველწლიურად უნდა მომხდარიყო. ექსპერტთა შეფასებით, კომპონენტი მეტწილად შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

მე-2 სტანდარტის ფარგლებში, რეკომენდაცია გაცემული იყო, რომ დაწესებულებას სამომავლოდ შეემუშავებინა დასაქმების მაჩვენებლის შეფასებისთვის სხვა მექანიზმებიც. დაწესებულებას სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში სწორად ჩამოეყალიბებინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, დაშვების წინაპირობები და მოეყვანა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. დაწესებულებას ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ გაეთვალისწინებინა ექსპერტთა რეკომენდაცია ინგლისური ენის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ. დაწესებულებას ზუსტად უნდა დაეთვალა პრაქტიკის ობიექტების გამტარიანობა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისა და შეფასების დროს. პროგრამის შემუშავების წესში გაწერილიყო როგორ ახდენს დაწესებულება პროგრამის მიზანშეწონილობის დადგენას შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებით. სასურველია, დაზუსტებულიყო ინიცირების წყარო ან ინიციატორი, შესაძლო გარემოებები, რის საფუძველზეც დაწესებულება გეგმავდა პროგრამის შემუშავების/ცვლილების/გაუქმების პროცედურას.

შორენა ჯაფარიძემ ექსპერტს ჰკითხა, ჰქონდა თუ არა მოდული დაწესებულებას, რომლითაც სწავლება განხორციელდებოდა, რაზეც თამარ რემიშვილმა უპასუხა, რომ იყო თავიდანვე მოდული, თუმცა ასწავლიდნენ ისეთი სახელმძრვანელოთი, რომელიც მოდულში არ იყო მითითებული და სწორედ ამასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია. ამასთან საკითხი ეხებოდა რუსული ენის მოთხოვნასაც, რა შემთხვევაშიც ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ ინგლისური ენის განსაკუთრებულობაზე გაემახვილებინათ ყურადღება რუსულთან შედარებით.

ექსპერტმა ავთანდილ გეგენავამ აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტთან მიმართებით ექსპერტებმა საკმაოდ ბევრი იმუშავეს. რაც შეეხება ინგლისურ ენას, დაწესებულებას ჰქონდა დამატებით რუსული ენის შესწავლა, თუმცა რადგან ინგლისური ენა იყო საერთაშორისო ენა, შესაბამისად მასზე უნდა გამახვილებულიყო რეკომენდაცია.

შორენა ჯაფარიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რას გულისხმობდა ინგლისური ენის სწავლება, რადგან როგორც ყველასთვის ცნობილი იყო პროგრამის მიხედვით, ინგლისური ენის სწვალება ისედაც განხორციელდებოდა, შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია ხომ არ გულისხმობდა ინგლისური ენისთვის, როგორც განსაკუთრებულისთვის დამატებითი საათების დათმობას.

ავთანდილ გეგენავამ განმარტა, რომ ინტერვიუებიდან და მისი სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭირო იყო ინგლისური ენის შესწავლა, რადგან ბევრს ჰქონდა ინგლისური ენის ფლობის პრობლემა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, შორენა ჯაფარიძის კითხვა და აღნიშნა, რომ მათთვისაც იყო ცნობილი ინგლისური ენის ზოგადად საჭიროების შესახებ და კანონითაც სავალდებულო იყო რომ ინგლისური ენის სწავლება განეხორციელებინათ მიმდინარე პროგრამის ფარგლებში, თუმცა აღნიშნული დაწესებულების შემთხვევაში რას შეეხებოდა ინგლისური ენის გაძლიერება, მაგ: შეეხებოდა თუ არა ის რესურსების გაუმჯობესებას ინგლისურთან მიმართებით ან კვალიფიკაციის ნაკლებობის შემთხვევაში შესაბამისი კადრების ცვლილებას და ა.შ.

ქრისტინა რზგოევამ აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, ინგლისური ენა იყო აუცილებელი და საჭირო, რაც ისედაც პროგრამაში გაწერილი იყო. ამასთან, ქრისტინა რზგოევა იცნობდა საზღვაო დაწესებულებებს, მათ პროგრამებს და სწავლების ფორმებს, რომლებიც ახორციელებდნენ ინგლისურად სწავლებას. ამასთან, როგორც იგი აღნიშნავდა, ის გაეცნო მოცემული დაწესებულების დოკუმენტებს, სადაც ნათელი იყო, რომ დაწესებულება ისედაც აპირებდა პროგრაამის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლებას, ამასთან, მართალია, ექსპერტებს სურდათ ინგლისური ენის უფრო მაღალ დონეზე სწავლება მოცემული პროგრამის ფარგლებში და შესაბამისად, დამატებითი საათების რეკომენდაციაც შესაძლოა გაეცათ, თუმცა ქრისტინა რზგოევას აზრით, აღნიშნული დაწესებულება ისედაც აპირებდა ინგლისური ენის სწავლას შესაბამისი დონით, მაგრამ ექსპერტები თუ ინგლისური ენისთვის დამატებითი ლიტერატურის ან დამატებიტი საათების რეკომენდაციას მისცემდა დაწესებულებას, მისასალმებელი იქნებოდა აღნიშნული გადაწყვეტილება.

შემდეგი რეკომენდაცია შეეხებოდა მოდულების შემუშავების წესში დაზუსტებას, თუ რა შემთხვევაშია დასაშვები მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილება და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში რა გზას მიმართავს დაწესებულება. ამასთან პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესში რეკომენდირებული იყო გაწერილიყო, რომ პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ყოფილიყო განმეორებითი შეფასების დროს, გამოეყენებინა იგივე შეფასების ინსტრუმენტი, ხოლო პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში შეეცვალა იგი. შეფასების წესში გასაჩივრების აპელაციის ვადები გაწერილიყო ისე, რომ პროფესიულ სტუდენტს შეძლებოდა განმეორებით შეფასებაზე გასვლა იმ მოდულის ფარგლებში, რომელიც წინაპირობების მქონე მოდულის შემდეგ ხორციელდება. წინაპირობის მქონე მოდულის განმეორებით გადაბარების შემთხვევაში, გადახედილიყო მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალის რელევანტურობა მომდევნო მოდულთან მიმართებაში, რადგან პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგის მიღწევის პრობლემა არ შექმნილიყო.

ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები შესაბამისობაში მოსულიყო სწავლის შედეგების შეფასების წესში მითითებული შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ასევე პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ მემორანდუმებში არ დაფიქსირებულიყო აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები, დაკონკრეტებულიყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება და შემავალი მოდულების სწავლის შედეგები, რომლებიც პრაქტიკის ობიექტებზე მიიღწევა.

თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ უხვად იყო მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები, თუმცა, რადგან დაწესებულება მუშაობდა დოკუმენტების შესწორებაზე და გადახარისხებაზე, ამიტომ

ექსპერტების აზრით, კარგი იქნებოდა, თუ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციებით შეიცვლებოდა დაწესებულების მდგომარეობა, რაც ადგილზე დახვდათ. საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მადლობა გადაუხადა ასეთი დეტალურობისთვის და გაწეული შრომისთვის, რაც დაწესებულებას ძალიან დაეხმარებოდა.

ასევე გაიცა რეკომენდაცია სამოქალაქო განათლების მოდულის პროგრამაში ასახვასთან დაკავშირებით, რაზეც ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა, რომ კვალიფიკაციის სამსახურმა 29 ოქტომბერს კიდევ განახორციელა სამოქალაქო განათლების მოდულში ცვლილება, შესაბამისად, იგი დაწესებულებას სთხოვდა, რომ შემდგომ მოეყვანა განახლებულ მოდულთან პროგრამა შესაბამისობაში.

შორენა ჯაფარიძემ თამარ რემიშვილს ჰკითხა, თუ რა ჰქონდა დაწესებულებას მითითებული პროგრამის შემუშავების საფუძვლებში, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ არაფერი ჰქონდათ მითითებული. შორენა ჯაფარიძის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ჩარჩო დოკუმენტი მიეთითებინათ პროგრამის შემუშავების საფუძვლებში და აღარ იქნებოდა საჭირო დანარჩენი, რასაც დაეთანხმა ექსპერტი და განმარტა, რომ ტექნიკურად გამორჩა დაწესებულებას აღნიშნული და შესაბამისად, ჩარჩო დოკუმენტის მითითების შემთხვევაში სხვა დანარჩენი ავტომატურად ჩაიხსნებოდა და მხოლოდ ჩარჩო დოკუმენტი მიეთითებოდა.

დაწესებულებას მიეცა ასევე რეკომენდაცია, რომ პროგრამის 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი ისე გაწეროს, რომ ექსპერტებმა ადვილად მოახდინონ პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობის შეფასება.

მე-3 სტანდარტთან მიმართებაში გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:
3.1 ყველა რეგულაცია, რომელიც უკავშირდება პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს, საჯაროდ განთავსებულიყო დაწესებულების ვებგვერდზეც.
ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის დებულებაში გაწერილიყო, როგორ რეაგირებს დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივებზე წერილობითი მომართვიანობის შემთხვევაში.
ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობების ნაწილში გაწერილიყო, ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შესაძლო საპატიო მიზეზები და ინფორმირების მექანიზმები.
პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის მექანიზმში ტერმინები შესაბამისობაში უნდა მოსულიყო მინისტრის მიერ დამტკიცებულ ჩარიცხვის წესთან.
პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესში უნდა დაზუსტებულიყო, რა ვადით შეუძლია პროფესიულ სტუდენტს, ისარგებლოს შეჩერების უფლებით და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებიდან რა ვადაში შეუძლია მიმართოს დაწესებულებას შეჩერების მოთხოვნის თაობაზე. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 15 კვირის ვადაში, სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით.

ექსპერტმა განმარტა, რომ მათ ურჩიეს დაწესებულებას, რომ უმჯობესი იყო, დაეზუსტებინათ მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების ყველა შესაძლო უფლებამოსილება, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და ეროვნული კვალიფიკაციის თავსებადობის გათვალისწინებით.
რეკომენდირებული იყო ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესში გაწერილიყო ინდივიდუალური გეგმის შემუშავების სხვა ალტერნატიული შემთხვევებიც, გარდა სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის ადაპტირების ხელშეწყობისა.

თამარ რემიშვილმა ექსპერტ მაია ომიაძის როლზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მისი ასეთი განსაკუთრებული ჩართულობის შედეგად გაიცა რეკომენდაციები.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, გასაუბრების შედეგად, გამოვლინდა იმის საჭიროება, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულებაში დაზუსტებულიყო, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ არც თავდაპირველი და არც ხელახალი გაწევრიანება არ წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებას.

დაწესებულებას ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვალდებულება ყველა პროფესიულ სტუდენტზე გაავრცელოს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, დაწესებულებამ მიანიჭოს პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გასცეს მიღებული განათლების დამადასტურებეილი დიპლომი და დიპლომის დანართი. ცალკეული მოდულებით განსაზღრული სწავლის შედეგის მიღწევის შემთხვევაში - სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი, ხოლო მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგის შესახებ - ცნობა.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ჩარიცხვის წესში გააჩინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების ორივე მექანიზმი, ცოდნის განმსაზღვრელი ტესტის ჩატარების საჭიროება და უზრუნველყოს მისი საჯაროობა. დაკონკრეტდეს პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაში გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა და პროფესიული სტუდენტის რეგისტრაციის მექანიზმი, პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ, საქართელოს განათლებისსა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის #42/გ ბრძანებისა და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულების მიხედვით.

ასევე ჩარიცხვის წესში, ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობების ნაწილში გაიწეროს ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შესაძლო საპატიო მიზეზები და ინფორმირების მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, რომ თუ არ იყო სტუდენტის სტატუსის მინიჭების წესი პროგრამაში, დაწესებულებას სრულ შესაბამისობად როგორ ჩაუთვალეს, რაზეც თამარ რემიშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ჰქონდა აღნიშნული წესი, თუმცა ის საჭიროებდა კორექტირებას.

საუბარში ჩაერთო ექსპერტი მაია ომიაძეც, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულება იყენებდა ჩარიცხვისას სტუდენტთა დაფინანსების 2 მექანიზმს, რომ სტუდენტს დაფინანსების მოპოვება შეეძლო თვითდაფინანსებით ან სახელმწიფო დაფინანსების მეშვეობით, რომელიც არ ჰქონდათ პროგრამაში ასახული და სწორედ ამასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას მიეთითებინა აღნიშნული, რათა სტუდენტსაც ჰქონოდა ინფორმაცია დაფინანსების შესახებ.

თამარ რემიშვილის თქმით, რეკომენდაციები გაიცა იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა რეგულაცია, რომელიც უკავშირდება დასაქმებულის უფლება-მოვალეობებს და ვებგვერდის მეშვეობით ინფორმირებას, საჯაროდ განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზეც.

გაიცა ასევე რეკომენდაცია, რომ პირადი საქმეები მოწესრიგდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პერსონალის მართვის დებულებათა გაწერილ მოთხოვნებთან, ამასთან, უცხო ენაზე გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურეელი დოკუმენტები აღიარებული და დადასტურებული

ყოფილიყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერაც. საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაში მოსულიყო დაწესებულების დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. დაზუსტებულიყო დასაქმებულთა სამუშაო დრო, როგორც დაწესებულების შინაგანაწესში, ასევე შრომით ხელშკრულებებში საქართველოს ორგანული კანონისა და შრომის კოდექსის მიხედვით. შრომითი ხელშეკრულების საგანში გაწერილიყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და პროგრამის შემავალი მოდულები/სწავლის შედეგები. სტრუქტურაში გამოეჩინა პროფესიული განათლების მასწავლებლის სტრუქტურული დაქვემდებარება. დაწესებულებას ეხელმძღვანელა პერსონალის მართვის დებულებით გაწერილი საქმის წარმოების წესით და შესაბამისობაში მოეყვანათ დადგენილ რეგულაციასთან. შრომით ხელშეკრულებასა და შრომით შინაგანაწესში დაზუსტებულიყო დასაქმებულთა სამუშაო დრო, საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით და შესაბამისობაში მოსულიყო კვირეულ 40 საათიან სამუშაო დატვირთვასთან. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სტატუსი შესაბამისობაში მოსულიყო პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, ამასთან, შრომითი ხელშეკრულების საგანში გაწერილიყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და პროგრამის შესავალი მოდულის სწავლის შედეგები. საკვალიფიკაციო მოხოვნებიდან ამოეღოთ ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმატიული ბაზის ცოდნის მოთხოვნა და პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვის ვალდებულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცედურებიდან ამოეღოთ აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული აქტივობები. დაწესებულების განმარტებით, წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმის მიხედვით, მიმდინარეობდა სტრუქტურული ცვლილებები, სამუშაოთა აღწერილობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის ფუნქციური მოვალეობების და სამუშაო პირობების ნორმატიული ცვლილებები და შესაბამისობაში მოვა 2021 წლის ბოლომდეც.

შორენა ჯაფარიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, თუ რას ნიშნავდა სიტყვები: "სტატუსი მოვიდეს შესაბამისობაში კანონთან", რაზეც მაია ომიაძემ უპასუხა, რომ რამდენიმე დოკუმენტში დაწესებულებას პროფესიული მასწავლებელი დაფიქსირებული ჰყავდა ხან მასწავლებლად, ხან ლექტორად და ა.შ., რაზეც შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სახეზე იყო არა სტატუსის პრობლემა, არამედ ტერმინოლოგიური შეცდომა, შესაბამისად, უნდა დაეწერათ ექსპერტებს, რომ დაწესებულებას ტერმინოლოგია უნდა მოეყვანა კანონთან შესაბამისობაში.

მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას რაც შეეხება, ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია, რომ განახლებული ვებგვერდის და ფეისბუქ გვერდის მეშვეობით მიეღო უკუკავშირი და გამოეყენებინა მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.
5.3 დაწესებულების ფინანსურ რესურსებზე პასუხისმგებელ პირს თანმიმდევრულად მოეხდინა სტრაეგიული და სამოქმედო გეგმების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა, ყველა ოპერაცია და მოვლენისთვის მოემზადებინა ზუსტი ფინანსური ანგარიშგება.

ექსპერტმა დაიწყო სტანდარტების მიხედვით გაკეთებული შეფასების საბჭოსთვის წარდგენა.
პირველ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულების გაცხადებული მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. მისიით განსაზღვრული იყო დაწესებულების საქმიაონის ძირითადი მიმართულება. სასურველი იყო, ხედვაში განსაზღვრული ყოფილიყო დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც აპირებდა დაწესებულება შემუშავებული ხედვის რეალიზებას. ექსპერტის თქმით, 2021 წლის 14 ივნისის სენატის დადგენილებით, ოქმი #14-თ დამტკიცებული დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა უზრუნველყოფს სასწავლებლის მისიის აღსრულებას. ამასთან, ექსპერტთა აზრით, დაწესებულების გაცხადებული ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენეს ერთწლიან და შვიდწლიან გეგმებთან დაკავშირებით.

სვოტ ანალიზის მიხედვით, ექსპერტის თქმით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მიზნები და ამოცანები, ამასთან, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ეფექტიანობის მონიტორინგის და შეფასების სისტემა და ახალი ფორმატი ვებგვერდთან დაკავშირებით.

თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ასევე მიეცა პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვის ნაწილში განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტის განმარტებით, პროფესიული სტუდენტებისა და მათი მხარდამჭერი ღონისძიების მე-3 სტანდარტთან შესაბამისობას რაც შეეხება, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილი იყო კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

მე-4 სტანდარტთან მიმართებით ადამიანური რესურსები ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც მთლიანობაში დადებითი, რადგან ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფდა დასახული მიზნის მიღწევას, თუმცა გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომ მასწავლებელი ასახულიყო პროგრამაში.
ექსპერტის თქმით, ის რგოლი, რაც მართავს დაწესებულებას იყო პარტნიორთა კრება, სენატი, გენერალური დირექტორი და ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური.

მატერიალურ რესურსს რაც შეეხება, ექსპერტის თქმით, შენობა, რომელიც დაათვალიერეს და რომელიც მდებარეობას ბათუმში, შალვა ინასარიძის ქუჩა #29-ში, სრულად იყო აღჭურვილი, დაცული იყო უსაფრთხოება, ჰიგიენური ნორმები, შენობა მთლიანად კამერებით იყო დაცული, ამიტომ ის რეკომენდაციები, რაც ექსპერტებმა მისცეს დაწესებულებას, სრულად იყო განხორციელებული. აქედან გამომდინარე, მატერიალური რესურსი შესაბამისი იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საინფორმაციო რესურსთან დაკავშირებით დაწესებულებას ექვსთვიანი ვადა ჰქონდა მიცემული და ექსპერტთა ჯგუფმა რესურსების ნაწილი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ფინანსურ რესურსთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეხვდნენ პირს, ვინც ფინანსურ რესურსებზე იყო პასუხისმგებელი, რომელმაც თანმიმდევრულად მოახდინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას წარედგინა ზუსტი ფინანსური ანგარიშგება. ბოლო 4 წლის მიხედვით, დინამიკაში ყოველწლიურად მზარდი იყო, ხოლო 2018-19 წლის შემოსავლები 30-50%-ით გაიზარდა გასულ წელთან შედარებით. დაწესებულებაში იყო განყოფილება, რომელიც ანგარიშგებასა და კონტროლზე ახდენდა მეთვალყურეობას.

თამარ რემიშვილის თქმით, პროფესიული განათლების პროგრამაში არსებული პრობლემა შეეხებოდა პრაქტიკის ობიექტებს, რადგან დაწესებულებას ჰქონდა ყველა ის რესურსი, რაც საჭირო იქნებოდა სტუდენტთათვის პრაქტიკის განხორციელებისთვის, ხოლო პროგრამაში არსებულ პარტნიორებს: "სოჩი 14; "ახტიარი"; "კაპიტანო ო. ჩხიკვაძე" აღნიშნული რესურსი არ გააჩნდათ. ამასთან დაკავშირებით ექსპერტ ავთანდილ გეგენავას წარდგენილი ჰქონდა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იყო 144 სტუდენტისთის 40 კრედიტიანი სწავლების განხორციელება. შესაბამისად, ექსპერტის აზრით, დაწესებულებას შეეძლო მიეღო 144 სტუდენტი "საგემბანე განყოფილების ექსპლოატაციის" პროგრამაზეც.

თამარ რემიშვილის განმარტებით, "საგემბანე განყოფილების ექსპლოატაციის" პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს 40 კრედიტიან საწარმოო პრაქტიკას 24 კვირიანი ხანგრძლივობით, რომელიც უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში, რაც გულისხმობს რეალურ გემზე ყოფნას და სწავლების იქ განხორციელებას. ამასთან, ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ წარადგინა დოკუმენტები, რომლითაც აღნიშნული საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას 200 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა, რადგან ხელშეკრულებით წარმოდგენილი მხოლოდ 2 გემს, "კაპიტან ო. ჩხიკვაძეს" და "სოჩი 14"-ს გააჩნდა შესაბამისი საბუთები და ამ ორი გემიდან "სოჩი 14" არ იმყოფებოდა საქართველოში და გაუგებარი იყო, როგორ გამოიყენებდა მას სასწავლებელი, როგორც პრაქტიკის კომპონენტს, ხოლო ბუქსირ "ახტიარს" ჯერ არ გააჩნდა ვადიანი სარეგისტრაციო საბუთები. დაწესებულებამ წარადგინა ექსპერტის თქმით, წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამ უკანასკნელის საბუთების განახლება მიმდინარეობდა, თუმცა ექსპერტების მიერ დაწესებულების საქმისწარმოების ფარგლებში, განახლებული საბუთები ექსპერტებს არ უნახავთ.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა განთავსებასა და წვრთნას, ექსპერტის თქმით, ამჯერად შესაძლებელი იყო აღნიშნულის განხორციელება, მხოლოდ გემ "კაპიტან ო. ჩხიკვაძეზე", რომელზეც შესაძლებელი იყო ერთდროულად 46 პროფესიული სტუდენტის ყოფნა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სტუდენტი ყოველ დღე 6 საათის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს გემზე და ეუფლებოდეს პროფესიასთან დაკავშირებულ უნარებს, რადგან მასზე უნდა გაიცეს ნაოსნობის სტაჟი, რაც არის საფუძველი მისი შემდგომი პროფესიული ნიშნით სერტიფიცირებისა. ნაოსნობის სტაჟი კი კანონმდებლობის მიხედვით არის ის პერიოდი, რაც სტუდენტს გემზე აქვს გატარებული.

დაწესებულებას, თამარ რემიშვილის თქმით, შეუძლია 6 საათიანი განრიგით ოთხ ცვლაში განათავსოს აღნიშნულ გემზე 4 ჯგუფი, რაც საერთო ჯამში 144 პროფესიულ სტუდენტს მოიაზრებს ორივე საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. პროფესიულ პროგრამებზე მიღება კი წელიწადში ერთხელ უნდა იყოს, როცა პირველი მიღების პროფესიული სტუდენტები პრაქტიკაზე წავლენ, მეორე მიღების პროფესიული სტუდენტები კოლეჯში იქნებიან, აუდიტორიები გაატარებს ორივესთვის ერთდროულად სტუდენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა მზაობა გემს და დაწესებულებას, გემზე ერთ ნაკადში 36 სტუდენტის მიღების, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ გემზეც ჰქონდათ ჩართვა, დაათვალიერეს გემი, ნახეს დაწესებულების დასკვნა და მათივე განმარტებით, საჭირო იყო მეზღვაურს ღამის საათებში, სპეციალურ ცვლაში, გამოემუშავებინა ის უნარ-ჩვევები, რაც მეზღვაურს სჭირდება. ექსპერტმა, ავთანდილ გეგენავამ, სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს, მისთვის მიეცათ სიტყვა, რათა განემარტა მოცემული.

ავთანდილ გეგენავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია საკლასიფიკაციო საზოგადოების მიერ გაცებული საბუთები, ასევე საზღვაო ტრანსპორტის სახელმწიფო დროშით იყო აღნიშნული გემი. საქართველოს დროშით მცურავ ყველა გემზე სარეგისტრაციო საბუთებს გასცემს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც სახელმწიფო დროშის საკითხებს განაგებს და ყველა შემოწმებების შედეგად, შესაძლებელია გემზე იმყოფებოდეს 36 სტუდენტი და 4 ეკიპაჟის წევრი, რადგან გემს ჰქონდა იმავე ოდენობის სამაშველო საშუალება, რაც უზრუნველყოფს გემზე მყოფ პირთა უსაფრთხოებას.

ექსპერტის თქმით, იმ სტუდენტებზე, რომლებიც საგემბანე პროგრამას გადიან, იზრუნებს უფროსი თანაშემწე და კაპიტანი, ასევე დაწესებულებას ჰყავს მასწავლებლები, რომლებიც განახორციელებენ მოცემულ პრაქტიკას.

შორენა ჯაფარიძემ ჰკითხა ექსპერტებს, რომ საუბარი იყო ორ პროგრამაზე, შესაბამისად, თუ ერთი პროგრამა ითვალისწინებდა პრაქტიკისთვის 144 სტუდენტის გემზე შესვლას 6 ცვლაში, მაშინ მეორე პროგრამის ფარგლებში როგორ მოხდებოდა ისევ 144 სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა, რაც ჯამში ცვლაში 72 სტუდენტს მოგვცემდა.

თამარ რემიშვილმა განმარტა, რომ ორივე პროგრამის ფარგლებში მოხდებოდა 144 სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა. შესაბამისად, თითო პროგრამიდან 72 სტუდენტის მიერ მოხდებოდა პრაქტიკის გავლა. განმარტებაში ეწერა ექსპერტებს ორ მიღებაზე 144.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა გააკეთა განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტებს დოკუმენტში მითითებული ჰქონდათ ორ მიღებაზე 72-72 სტუდენტი, თუმცა რადგან ასეთი ფორმატით გადაწყვეტილებაში ვერ მიეთითებოდა, ცენტრის რეკომენდაცია იყო, რეგისტრირებული ყოფილიყო მთლიანობაში 144 სტუდენტი, ამიტომ 144 სტუდენტის შესაძლებლობები უნდა დაეთვალათ ექსპერტებს, რომ მონაცვლეობით მოხდეს მათი პრაქტიკაზე წასვლა. ანუ ერთი ნაკადის დაწესებულებაში ყოფნისას, მეორე ნაკადი პრაქტიკაზე იყოს წასული. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ციფრი 144 იყო არა ერთ, არამედ ორ მიღებაზე, თუმცა 144 სტუდენტის გამტარუნარიანობა პრაქტიკის ობიექტს აქვს.

შორენა ჯაფარიძის თქმით, მაინც საჭიროა განმარტება, რადგან შესაძლებელი იყო 144 სტუდენტის მთლიანობა არათანაბრად განაწილებულიყო, მაგ: პირველ ნაკადში მიეღო დაწესებულებას 100, ხოლო მეორეზე - 44, რასაც პრაქტიკის ობიექტი ვერ გაუძლებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა განემარტათ, თუ რამდენი სტუდენტი გაივლიდა ერთ ცვლაში პრაქტიკას.
თამარ რემიშვილმა განმარტა, რომ 144 სტუდენტისთვის პრაქტიკის გავლა 4 ცვლაში მოხდებოდა. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ სახეზე იქნებოდა ხელშეკრულება, სადაც მოწესრიგებული იქნებოდა კონკრეტული სახით აღნიშნული საკითხი, რაზეც თამარ რემიშვილსა და ექსპერტთა ჯგუფს გაცემული ჰქონდათ რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულებას ხელშეკრულება წარდგენილი არ ჰქონდა.

თამარ რემიშვილმა განმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტი გემი, "კაპიტანი ო. ჩხიკვაძის" იყო დაწესებულების საკუთრებაში და შესაბამისად, მასთან ხელშეკრულების დადება ვერ მოხდებოდა და არც იყო საჭირო.

ექსპერტმა ავთანდილ გეგენავამ განმარტა, რომ სპეციალური სამსახურის მიერ განისაზღვრა გემზე მყოფ პირთა მაქსიმალური რაოდენობის დაშვება, რაც ამ შემთხვევაში იყო 40, რომელთაგანაც 36 იყო სტუდენტი, ხოლო 4 ეკიპაჟის წევრი.

საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ გეგენავას კითხვით მიმართა, თუ როგორ მოახერხებდა 4 ეკიპაჟის წევრი 24 საათიან ცვლაში მუშაობას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ეკიპაჟის წევრებს აქვთ სამუშაო განრიგი და ყველა სხვადასხვა ცვლაში მუშაობს. ამასთან, არსებობს გემი, რომელიც გადის ავტორიზაციას და ელოდება საზღვაო ტრანსპორტის მიერ გაცემულ საბუთს, რომელთანაც დაწესებულებას წინასწარ აქვს დადებული ხელშეკრულება და მოცემული გემიც განახორციელებს პრაქტიკის გავლას.

თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ განსხვავება 2 პროგრამას შორის არის ის, რომ პროგრამას ჰყავს სხვადასხვა ხელმძღვანელი, რომელთანაც მოხდა გასაუბრება და მათი პირადი საქმეების

შესწავლა, შესაბამისად, მათი კომპეტენცია იყო შესაბამისი. მეორე პროგრამაშიც მსგავსი დასკვნაა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ და დაწესებულების წარმომადგენელს მიეცა შესაძლებლობა, აზრი გამოეთქვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გურამ ქათამაძემ, განმარტა, რომ როგორც ავთანდილ გეგენავამ აღნიშნა, გემი იყო დაწესებულების საკუთრებაში და მასთან ხელშეკრულების დადება საჭირო არ იყო. გურამ ქათამაძის თქმით, თითო პროგრამიდან ერთ ცვლაში განაწილებულია 18-18 სტუდენტი გეგმის მიხედვით. ანუ 18 სტუდენტი საგემბანე განყოფილების პროგრამიდან, ხოლო დანარჩენი 18 - სამანქანე განყოფილების პროგრამიდან. ამასთან აღნიშნა, რომ ზღვაში ყოფნისას სწავლებას ახორციელებენ ეკიპაჟის წევრები, ხოლო ადგილზე დგომისას - მასწავლებლები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ახალ გემთან არსებობს ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია ცვლების რაოდენობა, რომლითაც თითო ცვლაში, თითო პროგრამიდან 15-15 სტუდენტიანი ჯგუფები იქნება წარმოდგენილი. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, მისი თქმით, დაწესებულებას გააჩნია სამანქანე განყოფილება და გემის ტრენაჟორი, რითაც შეეძლებათ სტუდენტებს, გამოიმუშავონ შესაბამისი გამოცდილება.

შორენა ჯაფარიძის თქმით, საწარმოო პრაქტიკის არსი სწორედ იმაშია, რომ სწავლება არა სიმულაციურად, არამედ ნამდვილ პრაქტიკის ობიექტთან უნდა განხორციელდეს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა, რომ სპეციალური საწარმოო პრაქტიკა იყო გათვლილი სტუდენტებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკის ობიექტს, "ახტიარს" უკვე შეეძლო 30 სტუდენტიანი ჯგუფის მიღება და პრაქტიკის განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რუსუდან დიასამიძეს, საბჭოსთვის გაეცნო მისი პოზიცია.

რუსუდან დიასამიძემ განაცხადა, რომ დადებითი შედეგის მომტანი იყო მათთვის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება დაწესებულებამ მოახდინა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ იციან დაწესებულების შესაძლებლობები და ითვალისწინებდნენ ყველა მიცემულ რეკომენდაციას. ასევე მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა სტუდენტთა ბაზის სრულყოფა. რაც შეეხება ინგლისურ ენას, დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა შეფასებას, რომ ყურადღება სწორედ ინგლისურ ენაზე გაემახვილებინათ, რაც სახეზე იყო, რადგან ინგლისური ენა იყო ძირითადი, ხოლო რუსული - არჩევითი. გარდა ამისა, ახალი კაბინეტი მზადდებოდა, რომელსაც სწავლის განახლების შემთხვევაში, სტუდენტებთან ერთად გამოიყენებდა დაწესებულება. რაც მთავარია, მისი აზრით, დაწესებულება ყოველთვის მზადაა კვალიფიკაციისა და ცოდნის ამაღლებისთვის და ყველა მიცემულ რეკომენდაციას ემხრობა და დიდ მადლობას უხდის ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა თამარ რემიშვილს, რათა დაეკონკრეტებინა ორივე პროგრამის შემთხვევაში მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

თამარ რემიშვილისა და საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, პირველი სტანდარტი იყო მეტწილ შესაბამისობაში, ორივე პროგრამისთვის მეორე სტანდარტთან მიმართებით იყო მეტწილი შესაბამისობა, მესამე სტანდარტთან მიმართებით იყო სრული შესაბამისობა, მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - მეტწილი, ხოლო მეხუთე სტანდარტთან მიმართებითაც მეტწილი შესაბამისობა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულებას აღებული ჰქონდა არაუმეტეს 6 თვისა, თუმცა ზოგ შემთხვევაში 1,2 თვე ან რამდენიმე დღე იყო მითითებული. თავმჯდომარემ დაწესებულებას ჰკითხა, თუ რა ვადა იყო მათთვის მისაღები მონიტორინგის განხორციელებისთვის, რაზეც დაწესებულებამ 6 თვის ვადას მიანიჭა უპირატესობა.

ნანი დალაქიშვილის განმარტებით, თუ მონიტორინგი განხორციელდება, მაშინ ცენტრი მონიტორინგს განახორციელებს მაქსიმალურ ვადაში. მან ასევე აღნიშნა, რომ მოცემული პროცესი იყო საკმაოდ ღრმა და რთული, რაშიც ჩართული იყვნენ ცენტრის წარმომადგენლებიც. ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ასეთი დეტალური დასკვნისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრები სათათბიროდ გავიდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭოს აქვს დიდი ცოდნა აღნიშნული დეტალების გაცნობის მხრივ, შესაბამისად, ისინი მიიჩნევენ უდაოდ იმ ფაქტს, რომ დაწესებულებას გააჩნია მატერიალური, ტექნიკური ბაზა. ისევე როგორც უდავოა, მათი აზრით ის, რომ დაწესებულებას ადმინისტრირების საკითხში გააჩნია მნიშვნელოვანი ხარვეზები და განმავითარებელი რეკომენდაციების სიჭარბე გამოწვეულია იმით, რომ პროფესიული განათლების ადმინისტრირების დარგში ძალიან დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოს სასწავლებელმა. ამასთან, საბჭო იაზრებდა საქართველოსთვის ასეთი დაწესებულებების არსებობის მნიშვნელობას, ამიტომ მათთვის მისასალმებელია, რომ კერძო სექტორი ცდილობს ამ პროცესში ჩართვას, თუმცა საბჭო არ დაუშვებს განათლების ხარისხის დაცვის გარეშე განათლების სტუდენტებისთვის მიწოდებას, მაგრამ საბჭო იმედოვნებს, რომ დაწესებულება მონიტორინგამდე მოახდენს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** 9
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად,

1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ს/კ:245539403) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი.
2. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2)**.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტებზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტები 1.2; 2.2; 2.3; 2.4; 4.1 და 5.2. 5.1, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 2 მაისიდან (თარიღი შეთანხმდა დაწესებულებასთან). მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

16:35 საათზე საბჭომ დაასრულა მუშაობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

**დანართი 1**

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე / საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411 | 99 | 129 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |
| 2 | საოფისე საქმე (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415 | 59 | 89 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |
| 3 | ინფორმაციის ტექნოლოგია (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 60 | 75 | ქართული | 12 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

**დანართი 2**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. №29 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 144 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 110 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. №29 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 144 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 91 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 106 |